ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N1/080424/2

ქ. თბილისი **08 აპრილი, 2024 წელი**

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის, მიხეილ ახვლედინის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ.№16, ს/კ №204525585; სახელმწიფო ხაზინა, კოდი №TRESGE22, ანგარიში/სახაზინო 70701

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ **შპს „NEKTARI-2008“** წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით დალაქიშვილის სახით, მისამართი: ქ.თელავი, რუსთაველის, №73 ; ს/კ 231288969, ტელ: 555 306 111; სს „საქართველოს ბანკი“ კოდი №BAGAGE22, ა/ა №GE88BG0000000268392600

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 შემსყიდველმა სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრებით გამოაცხადა **ერთჯერადი ჭიქების (CPV 39222120 - ერთჯერადი ჭიქები)** სახელმწიფო შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (**NAT240005745)** და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი **20 800.00 (ოცი ათას რვაასი ლარი და 00 თეთრი) ლარად,** შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება.

1.2 საქონლის ერთეულის ფასი და ხელშეკრულების ფასი მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1.საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი №1-ში მოცემულ მახასიათებლებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

2.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფის უფლებამოსილი წევრი ან წევრები.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 საქონლის დასახელება, ტექნიკური მახასიათებლები, აგრეთვე რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ფასი მოცემულია ხელშეკრულების დანართი №1-ში, რომელიც თან ერთვის აღნიშნულ ხელშეკრულებას და ითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1.საქონლის მიწოდება ყველა ხარჯის გათვალისწინებით მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **30 (ოცდაათი) კალენდარული** დღის განმავლობაში.

4.2.მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, აბზიანიძის ქ. N4.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მხარეებს შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარმოუდგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია -

სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“).
5.4 შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ამოწმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის უფლებამოსილი წევრის/წევრების მიერ ინსპექტირების განხორციელების ფაქტს და შესაბამის ინსპექტირების აქტზე მისი/მათი ხელმოწერის არსებობას. შესაბამისი ფორმით შედგენილი ინსპექტირების აქტზე ხელმოწერების არსებობის შემთხვევაში ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორება
6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
6.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე, წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი;
7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;
7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.
7.2.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლებები
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. მოითხოვოს შემსყიდველისგან მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;
8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
9.4 ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე

მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელის შემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების
გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05 %-ის ოდენობით;
13.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 7.1.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების
შემთხვევაში ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით;
13.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოცემულ მომენტში გადასარიცხი თანხის 0,05%-ის ოდენობით;
13.4. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 13.1. და 13.2 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0.5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმირ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან.
13.5 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდების დროს გამოვლინდა, რომ აღნიშნული საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრულ მახასიათებლებს ან და შერჩევა-შეფასების ეტაპზე წარმოდგენილ ნიმუშებს, მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
13.5. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) ჩაბარებიდან ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გადაგზავნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
13.6. ამ მუხლის შესაბამისი პუნქტების საფუძველზე მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირაგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა
14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2.ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების
შეუსრულებლობისათვის;
14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

შემსყიდველი: **სსიპ „შემოსავლების სამსახური"**	**მიმწოდებელი:** **შპს „NEKTARI-2008"**
LEPL REVENUE SERVICE Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE Date: 2024.04.08 18:32:40 +04'00'	_____
მიხეილ ახვლედიანი ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	**დავითი დალაქიშვილი** დირექტორი

დანართი N1 ფასთა ცხრილი

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ტექნიკური სპეციფიკაცია	მწარმოებელი/წარმოშობის ქვეყანა აღნიშნული ინფორმაციის წარმოუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას	რაოდენობა	ზომის ერთეული	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)	მიწოდების ვადა
1	ერთჯერადი ჭიქები	ერთჯერადი ჭიქა (შენობაში არსებულ წყლის დისპენსერებზე განსათავსებლად); მოცულობა: 170 მლ; მასა 1,3 გრ; მასალა: პოლიპროპილენი; ფერი: გამჭირვალე; შეფუთვა: პაკეტში 100 ცალი; ჭიქა არ არის დეფორმირებული და არ განიცდის დაზიანებას ცხელი სითხის გამოყენებისას;	მწარმოებელი: შპს NEKTARI-2008 წარმოშობის ქვეყანა: საქართველო	2000000	ცალი	**0.0104**	**20 800.00**	ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე
სულ ჯამი:							20 800.00	